ა(ა)იპ "2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის" საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ.თბილისი 30.10.2013

<u>სხდომას უძღვებოდა</u> : კომისიის თავმჯდომარე- ალექსი ახვლედიანი.

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>: კომისიის წევრები -ალექსანდრე ჯაფარიძე, თამარ ჭაჭუა, გიორგი მორჩაძე, იოსებ დარჩია, დავით დუმბაძე.

<u>დღის წესრიგი :</u> 2015 წლის თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ (მძლეოსნობის სტადიონის) ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული <u>№1005 კონკურსის შედეგების განხილვა</u>.

განხილვა : აღნიშულ კონკურსთან დაკავშირებით საკონკურსო წინადადება წარმოადგინა სამმა კონკურსანტმა: შპს „იქს ვაი ზეტ"-ი, შპს „გოდაკო+" და შპს „აკადემპროექტი" . განხილვის შედეგად აღმოჩნდა რომ არც შპს „გოდაკო+"-ისა და არც შპს „იქს ვაი ზეტ"-ის მიერ წარმოდგენილი წინადადება არ აკმაყოფილებს სრულად საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ : შპს „იქს ვაი ზეტ"-ის საკონკურსო წინადადებაში არ არის წარმოდგენილი, ტერიტორიის სიტუაციური გეგმა და ინფორმაცია გამოცდილების შესახებ. ასევე, საგადახდო დავალებაში მითითებული მონაცემები არ შეესაბამება სრულად საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შპს „გოდაკო+"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეიცავს ტერიტორიის სიტუაციურ გეგმას; კონკურსანტის შპს „აკადემპროექტი"-ს მიერ წარმოდგენილი წინადადება კი სრულად აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შპს „იქს ვაი ზეტ"-ისა და შპს „გოდაკო+"-ის მიერ

წარმოდგენილი წინადადებების დისკვალიფიკაციისა და შპს „აკადემპროექტი“-ს მიერ წარმოდგენილი წინადადების გამარჯვების შესახებ.

კომისიამ დაადგინა :

1. შპს „აკადემპროექტი“-ის მიერ წარმოდგენილი წინადადება მისაღებია და შეესაბამება საკონკურსო მოთხოვნებს, რის საფუძველზეც აღნიშნული წინადადება გამოცხადდეს გამარჯვებულად.

2. არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

3. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს შპს „აკადემპროექტს“.

<u>კომისიის თავმჯდომარე :</u> ალექსი ახვლედიანი

<u>კომისიის წევრები:</u> ალექსანდრე ჯაფარიძე

თამარ ჭაჭუა

გიორგი მორჩაძე

იოსებ დარჩია

დავით დუმბაძე